საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამაში განხორციელებული ბოლო ცვლილებები

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:

ოქმი №ს4-23, 19.04.2023

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწვეტილებით:

დადგენილება №6, 27.04.2023

განათლების საფეხური: უმაღლესი აკადემიური განათლების II საფეხური (ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საფეხური)

სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით / Teacher Training with Subject Specialization

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მაგისტრი (საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებელი) / Master of Education (Secondary Education Teachers of Mathematics)

სწავლის ხანგრძლივობა: 10 სემესტრი

საგანმანათლენლო პროგრამის მოცულობა: 300 კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელები:

აფილირებული ასისტენტ-პროფესორი ნინო ფეტვიაშვილი, ელ.ფოსტა: petviashvili.nino@eu.edu.ge

ასოცირებული პროფესორი მიმოზა ტყეებუჩავა, ელ. ფოსტა: mimozatkebuchava@yahoo.com

პროგრამის აქტუალობა

ევროპის უნივერსიტეტი ორიენტირებულია ხელი შეუწყოს ქვეყნის საზოგადოებრივი და სოციალურ-ეკონომიკური აქტივობების განხორციელებას. ამ მიმართულებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელთა დარგობრივი ცოდნის, პროფესიული უნარებისა და კვალიფიკაციის ამაღლება. მასწავლებლის პროფესია სახელმწიფოს მიერ ერთ-ერთი რეგულირებადი პროფესიაა, რაც ცალსახად უსვამს ხაზს აღნიშნული პროფესიის მნიშვნელობას სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით.

თუმცა განათლების ხარისხის გაუმჯობესების კომპლექსური და სისტემური მიდგომის საჭიროებიდან გამომდინარე, დგას პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლების, სასწავლო პროცესის მოსწავლეზე მორგებისა და ხარისხობრივად ამაღლების საჭიროება. მიუხედავად იმისა, რომ მიღებულია მრავალი

მარეგულირებელი დოკუმენტი (მასწავლებელთა სტანდარტები, მასწავლებელთა კარიერული წინსვლის სქემა) და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობები პერმანენტულად მიმდინარეობს, მასწავლებელთა დიდი ნაწილის კომპეტენცია არ არის მოთხოვნის შესაბამისი. 2015 წლიდან 2020 წლამდე, მასწავლებელთა 21%-ს სტატუსი არ შეუცვლია და განსაზღვრული საბაზისო საფეხურის შესაბამისად, პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მატარებელი ანუ მოცემული მომენტისთვის უკვე სტატუსგარეშეა. დღევანდელი მონაცემების შესწავლისას თვალნათლივ ჩანს, რომ 7-12 კლასების მათემატიკის მასწავლებელთა დიდ რაოდენობას არ აქვს გადალახული კომპეტენციის დადასტურების ქვედა ზღვარი, ასეთია 1004 მათემატიკის მასწავლებელი. ქვეყანაში მიმდინარე სასკოლო რეფორმის მთავარი ამოცანაა, რომ უნდა მოხდეს მასწავლებელთა 21-ე საუკუნის გამოწვევებთან, თანამედროვეობის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიღწევა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნების სწავლებისა და სწავლის თანამედროვე მიდგომების მიწოდება, რაც არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით ძალიან რთულად მისაღწევია. ასევე, დგას პედაგოგთა კორპუსის „დაბერების“ პრობლემა, რაც მოიაზრება ხარისხიანი საბაზო განათლების ხელმისაწვდომობის ერთ-ერთ დამაბრკოლებელ გარემოებად. მასწავლებელთა მოქმედი კორპუსის საშუალო ასაკი თვალსაჩინოს ხდის ახალი კადრების მომზადების მიმართულებით მუშაობის გაძლიერების აუცილებლობას. შესაბამისად, ქვეყანაში არსებობს სერიოზული გამოწვევები მაღალი ხარისხის საბაზო და საშუალო განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

განათლების რეფორმის განხორციელების ფარგლებში გამოკვეთილია განსაკუთრებული მოთხოვნა ზუსტი მეცნიერებების მიმართულებით, რაც სერიოზული გამოწვევაა. ამასთან, განათლების სისტემაში უახლესი კვლევებით დადასტურებულია იმ მასწავლებელთა დეფიციტი, რომლებიც ფლობენ კვლევით უნარებს, რაც მათ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაზე დაფუძნებით დაეხმარება სწავლება-სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და პროფესიულ განვითარებაში. მასწავლებელთა დიდი ნაწილი საინფორმაციო ტექნოლოგიებს მხოლოდ მარტივი კომუნიკაციისთვის იყენებს და გაკვეთილებს ტრადიციული მეთოდებით ატარებს. ინფორმაციული ტექნოლოგიების საუკუნეში გაჩენილი ახალი გამოწვევების ფონზე, არადამაკმაყოფილებელია მედიაწიგნიერებისა და ციფრული მოქალაქეობის კომპეტენციების დონე, რაც აისახება მოსწავლეთა მოტივაციაზე, მოსწრებაზე საგნის ცოდნისა და უნარების კუთხით. აღნიშნულს ადასტურებს PISA-ს შედეგები, რომელთა ინტერპრეტაციისას მოსწავლეთა საშუალო ქულით საქართველო 20 მონაწილე ქვეყნიდან იმ 12 ქვეყანას შორისაა, რომლებშიც მოსწავლეთა მიღწევების საშუალო მაჩვენებელი (სტატისტიკურად) მნიშვნელოვნად ჩამორჩება OECD-ის 13 წევრი ქვეყნის საშუალოს, კერძოდ გამოკითხული 15 წლის მოზარდების 50%-ზე მეტი ვერ აკმაყოფილებს მოსწრების ელემენტარულ დონეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, წიგნიერებასა და მათემატიკაში (https://naec.ge/uploads/postData/20-21/kvlevebi/PISA2018-Georgia%20(1).pdf)

ევროპის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ქვეყნის განათლების პოლიტიკას და ორიენტირებულია საკუთარი პედაგოგიური საქმიანობის კვლევით მიღებული შედეგები დააკავშიროს იმ საკვანძო ფაქტორებთან, რომლებიც განსაზღვრავს სწავლებასა და სწავლას საგანმანათლებლო დაწესებულებაში. პროგრამა მიზნად ისახავს მათემატიკის მასწავლებლის მომზადებას, რაც განპირობებულია ზუსტი მეცნიერებების მიმართულებით კვალიფიციურ მასწავლებელთა დეფიციტით. უნივერსიტეტის მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი და

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უნივერსიტეტს აძლევს საშუალებას თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშვებით ხელი შეუწყოს დასახული ამოცანების განხორციელებას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება:

სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ევროპის უნივერსიტეტში.

პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბაროს შემდეგი საგნები:

ა) ქართულ ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა (ინგლისური ენა, რუსული ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა). აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

ბ) მათემატიკა/ისტორია (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი).

გ) თითოეული საგნისათვის (მათემატიკა/ისტორია) განკუთვნილი ადგილების რაოდენობა არ უნდა იყოს პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების 10%-ზე ნაკლები. ზუსტი პროცენტული განაწილება განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ადგილების გამოცხადებამდე.

პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლებას მოიპოვებენ:

პირები, რომლებსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩაირიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან დაადასტურონ ქართული ენის B2 დონეზე ფლობა „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად.

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

პროგრამის მიზნები

საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

მოამზადოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების კრიტიკულად და შემოქმედებითად მოაზროვნე, აკადემიური უნარ-ჩვევების მქონე მათემატიკის მასწავლებელი, რომელიც:

1. შეძლებს კონსტრუქტივიზმზე დაფუძნებული და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას;
2. საკუთარ პროფესიულ საქმიანობას განავითარებს პრაქტიკის კვლევის საფუძველზე სწავლება-სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;
3. გაითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროებებს და სფეროს საერთაშორისო ტენდენციებს, უპასუხებს დარგის, სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს.

სწავლის შედეგები

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეშვიდე დონეს (უმაღლესი განათლების მეორე საფეხური) და უზრუნველყოფს კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებული:

სწავლის შედეგი 1: მათემატიკის მასწავლებლის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად განსაზღვრავს, აანალიზებს, ამუშავებს და ამტკიცებს მათემატიკურ ამოცანებს.

სწავლის შედეგი 2: აანალიზებს მათემატიკური კონცეფციებისა და იდეების ევოლუციური და ისტორიული განვითარების ეტაპებს, ადგენს კავშირებს მათემატიკასა და სხვადასხვა დისციპლინებს შორის.

სწავლის შედეგი 3: მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასწავლო პროცესის დაგეგმვის და წარმართვის მიზნით არჩევს, იძიებს და ქმნის საფეხურის შესაბამის სასწავლო რესურსს, გეგმავს კლასგარეშე აქტივობებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, სკოლის პრიორიტეტებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით იძიებს და ქმნის დამხმარე რესურსს.

სწავლის შედეგი 4: ადგენს შეფასების სქემებსა და რუბრიკებს თითოეული მოსწავლის მიღწევისა და პროგრესის ობიექტურად შესაფასებლად. ეფექტიანად იყენებს განმავითარებელ შეფასებას მოსწავლის პიროვნული და კოგნიტური გავითარებისათვის.

სწავლის შედეგი 5: პიროვნების განვითარებისა და განათლების თეორიების ცოდნის ეფექტიანად გამოყენებით ქმნის უსაფრთხო, თავისუფალ და მამოტივირებელ სასწავლო გარემოს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური, სპეციალური საჭიროებების, მათი სასწავლო პროცესში ინტეგრაციის მიზნით კულტურული მრავალფეროვნების, დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით.

სწავლის შედეგი 6: ახდენს დემოკრატიული ფასეულობების, მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში პიროვნების სოციალური და ბუნებრივი გარემოსადმი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის აღზრდის მიზნით.

სწავლის შედეგი 7: ატარებს კვლევას ეთიკის სტანდარტების დაცვით, კვლევის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით გეგმავს ინტერვენციებს. აყალიბებს კვლევის შედეგებს და წარადგენს აკადემიური, პროფესიული თუ სხვა დაინტერესებული აუდიტორიის წინაშე. ახდენს საკუთარი პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებას და გეგმავს საკუთარი პროფესიული განვითარების ღონისძიებებს.

სწავლის შედეგი 8: სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბების მიზნით იყენებს ახალ სტრატეგიულ მიდგომებს, ეთიკური ქცევის ნორმებისადმი ავლენს პროფესიულ პასუხისმგებლობას. მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას და საქმიან თანამშრომლობას.

პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა

საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და შედეგების მისაღწევად.

1 კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს. კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 5 აკადემიურ წელს, ანუ 10 სემესტრს და მოიცავს 300 კრედიტს (სულ 7500 საათს). სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი - 750 სთ), ხოლო აკადემიური წლის განმავლობაში - 60 კრედიტი, თუმცა, სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, სემესტრში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 30-ზე ნაკლები ან მეტი, ამავდროულად აკადემიური წლის განმავლობაში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების ფარგლებში, პროგრამა გასცემს მათემატიკის საგნობრივ და პროფესიულ ცოდნას, ორიენტირებულია უნარების გამომუშავება-გაღრმავებაზე, კერძოდ:

პროგრამაში თავისუფალი კომპონენტის სახით მოცემულია სავალდებულო სასწავლო კურსები (29 ECTS), რომლებიც ორიენტირებულია ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, მათ შორის ინგლისური ენა, რომლის შესწავლა იწყება B1 დონიდან და ხდება ცოდნის გაღრმავება B2 დონის ჩათვლით.

სპეციალობის კომპონენტი ითვალისწინებს 241 ECTS მათ შორის:

- მათემატიკის საგნის მოდული 121 კრედიტი, რომელიც სტუდენტს აძლევს საგნობრივ ცოდნას მათემატიკის მასწავლებლის საგნობრივი სტანდარტის მოთხვნის შესაბამისად

http://tpdc.ge/ptk_files/_ckuploaded/161640.pdf. აღნიშნული კრედიტები მოიცავს 5 არჩევით კრედიტს. სტუდენტს საშუალება აქვს შეთავაზებული ოთხი სასწავლო კურსიდან (20 ECTS) აირჩიოს ერთი სასწავლო კურსი.

- მასწავლებლის მომზადების მოდული (60 ECTS) ორიენტირებულია უპასუხოს 21-ე საუკუნის გამოწვევებს, აღზარდოს თანამედროვეობის მოთხოვნების შესაბამისი აქტიური, მოტივირებული და განვითარებაზე ორიენტირებული მათემატიკის მასწავლებელი, რომელიც აღზრდის კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქეს. მოდულის ფარგლებში სტუდენტს აქვს არჩევანის საშუალება, ოთხი სასწავლო დისციპლინიდან საკუთარი ინეტრესების გათვალისწინებისთ აირჩიოს ერთი სასწავლო კურსი.
- სპეციალობის კომპონენტი ასევე ითვალისწინებს სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდულს (60 ECTS), რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებაზე.

სასკოლო პრაქტიკა ითვალისწინებს რეალურ გარემოში პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებას, კერძოდ, გაკვეთილების მომზადებას, ჩატარებას, მოსწავლეთა შეფასებას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, ელექტრონული რესურსების შექმნას და გამოყენებას სასწავლო პროცესში. პედაგოგიური პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტს უწევს უშუალო კომუნიკაცია კოლეგებთან. სასკოლო საზოგადოებასთან ინტეგრაცია სტუდენტს გამოუმუშავებს კომპლექსურ, არაპროგნოზირებად ან მულტიდისციპლინურ სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვის და ადაპტირების საშუალებას ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით.

კვლევითი კომპონენტი ითვალისწინებს შემდეგი დისციპლინების სწავლებას: კვლევის ინოვაციური მეთოდები განათლებაში, პრაქტიკაზე დაფუძნებული კვლევა, დიაგნოსტიკური კვლევა და დიფერენცირებული მიდგომა. კვლევითი კომპონენტი ასევე ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომის შემუშავებას და დაცვას. მოდული მომავალ მასწავლებელს გამოუმუშავებს საკუთარი პრაქტიკის კვლევის უნარ-ჩვევას, რაც ცვალებად გარემოში ადაპტაციის და პროფესიული განვითარების საშუალებაა.

თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში, პროგრამულად გამოყოფილია აგრეთვე არჩევითი სასწავლო კურსები (30 კრედიტის მოცულობით), რომელთა ფარგლებშიც სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, განივითაროს მასწავლებლის ტრანსფერული/ზოგადი კომპეტენციები და გაიღრმავოს ცოდნა და უნარები შესაბამისი სპეციალიზებული სასწავლო კურსების საშუალებით.

პროგრამა სტუდენტს აძლევს საშუალებას თავისუფალი კომპონენტის არჩევითი დისციპლინების ფარგლებში განივითაროს ტექნოლოგიების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნის/საგნების მასწავლებელისთვის საჭირო ცოდნა, რაც კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში საშუალებას აძლევს იმუშაოს ICT-ის მასწავლებლად (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის ბრძანება №126/ნ, მუხლი 10, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი).

არჩევითი თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში, საჭიროების შემთხევაში (როცა სტუდენტი ვერ ადასტურებს ინგლისური ენის იმ დონეზე ფლობას, რომელიც საჭიროა პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დონის დასაწყებად) სტუდენტებს აქვთ საშუალება აითვისონ ინგლისური ენის ის

დაბალი დონეები (A1, A2), რომელთა სწავლებასაც სტანდარტულ შემთხვევაში სასწავლო გეგმა არ ითვალისწინებს. სტუდენტის მიერ ინგლისური ენის ცოდნის დონის დადასტურება რეგულირდება უნივერსიტეტში მოქმედი ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის შესაბამისად.

სასწავლო მიმართულებების მიხედვით საგნების კლასიფიკაცია და მათი ზემოაღნიშნული პრიორიტეტიზაცია მიზნად ისახავს, პროგრამას შესძინოს თანმიმდევრულობა და მოაქციოს ერთიანი ლოგიკური ჩარჩოს ქვეშ, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს სხვადასხვა დისციპლინაში ცოდნის გაბნევის რისკი.

საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად სწავლის სფეროსა და თავისუფალ კომპონენტებს შორის კრედიტების განაწილება შემდეგნაირია:

თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 29 ECTS

საგნის/საგნობრივი ჯგუფის მოდული - 121 ECTS, მათ შორის სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის დათმობილი კრედიტების მოცულობაა 116 ECTS, ხოლო არჩევითი სასწავლო კურსებისთვის დათმობილი კრედიტების მოცულობა - 5 ECTS;

მასწავლებლის მომზადების მოდული - 60 ECTS, მათ შორის სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის დათმობილი კრედიტების მოცულობაა 57 ECTS, ხოლო არჩევითი სასწავლო კურსებისთვის დათმობილი კრედიტების მოცულობა - 3 ECTS;

სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები/კომპონენტები - 60 ECTS, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომი - 20 ECTS;

თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები - 30 ECTS.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“.

სწავლის შედეგების მიღწევა ფასდება შუალედური და დასკვნითი შეფასებებით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური საბოლოო შეფასება შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთ სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

(C) კარგი – 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად. შუალედური შეფასების სავალდებულო კომპონენტია შუალედური გამოცდა, რომელიც ტარდება მე-8-მე-9 კვირაში. შუალედური შეფასება გულისხმობს სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს სტუდენტების მუშაობის პროცესის, შუალედური გამოცდის და სტუდენტის დამოუკიდებელი სამუშაოს ჯამურ შეფასებას, ხოლო დასკვნითი შეფასება - დასკვნითი გამოცდის შეფასებას. შუალედური და დასკვნითი შეფასებების მეთოდებს და მათ ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი შესაბამისი სილაბუსის ფარგლებში. სილაბუსში ასევე განმარტებულია თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმებიც.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შუალედური შეფასებისთვის და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრულია შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასების 50%, დასკვნითი გამოცდის შეფასების 50%+1 ქულა.

კრედიტი ათვისებულად ჩაითვლება თუკი შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდისთვის დადგენილი მინიმალური ზღვრების გადალახვის საფუძველზე სტუდენტის მიერ მიღებული ქულების ჯამი შეადგენს 51 ქულას ან მეტს.

სასწავლო კურსის განმახორციელბელი პერსონალი, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია სილაბუსით განსაზღვროს განსხვავებული (უფრო მაღალი) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად.

სასწავლო კურსის განმახორციელბელი პერსონალი, მიზნების, სწავლის შედეგების და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით ასევე უფლებამოსილია შეფასების მეთოდში/მეთოდებში

განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შეფასების მეთოდში/მეთოდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსებობის შემთხვევაში, კრედიტის მინიჭება შესაძლებელი იქნება თითოეულ შეფასების მეთოდში არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის, თითოეულ შეფასების კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვისა და შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების დაჯამების შედეგად მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში.

დასაქმების სფერო

საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს:

- საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მათემატიკის მასწავლებლად;
  - სასწავლო ცენტრში/ცენტრებში;
  - პედაგოგთა გადამზადების ცენტრებში;
  - საგანამანათლებლო რესურსცენტრებში;
  - განათლების სფეროში მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში.